

თეატრი

№ 42

საყოველ-გებირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 42

19 ლეონოზისთვა

გამოიცემა ყოველ კვირათხი

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსასეკარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წერეთლის ქუჩაზე. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდუხიძისა.

ცალგე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისეილება: თბილ ისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმანერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექტიონები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთ თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უპირიტილად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყვნენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Артируи № 110.

ქართული თეატრი

ღღეს ქართული დრამ. დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რას ვეძებდი და რა ვაკოვებ

კომედია 3 მოქმედ. თხზულ. ბარ. ჯორჯაძისა

II

სუსტი მხარე

ვოლდეილი ერთს მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: მ. საფარ.-აბაშიძისა ნ-გაბუნცაგარდისა, მედიკოსისა, ბ-ნი აბაშიძეაწუროელი, ცხარელი, მკჷსიამიქე და სხვანი.

დასაწყისი სწორეთ 7 $\frac{1}{2}$ საათზე.

ქართული თეატრი

წარსულს კვირას ქართ. დრამ. საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იყო ორი კომედია: პირველი „ბაჭი-ბუქი“ ფრანგულიდამ გადმოკეთებული კნიაჟნა ანასტასია თუმანიშვილისაგან და მეორე „დრუბები სიყვარული“ რუსულიდამ გადმოკ. თაე. დ. ერისთვისაგან.

„ბაჭი-ბუქში“ თავიდან ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი და ამიტომ პიესა ბევრს იგებს მაყურებლის თვალ წინ. მოქმედების სწრაფი მიმდინარეობა, სიცხოველე და სიმარტივე აადვილებს პიესის თამაშობას. არც გაქიანურებული ლაპარაკი, არც ერთხელ გადაჭრილ გზილამ ახვევა, არც უმნიშვნელო და მოსაწყენი სცენები არ ჰლადავენ მაყურებლის მოთმინებას. ასეთი პირობები დიდ ღირსებად ჩაეთვლება ყოველს პიესას, მეტადრე ამ ჩვენს „ლიტერატურულ ციებ-ცხელების დროს“. კომედიაში აშკარად იხა-

ტება ბაქი-ბუქობა, თვალთ-მაქცობა ყოველივე მისის ამატრანტობით, სიცრუით და სასაცილო კვებნა-მედიდურობით. პიესის ენა სალი და მსუბუქია, თუმცა ხშირად იმეორება სიტყვა „მაგრამ“, რომელიც ყურს ძრიელ ენათირებოდა.

დიდის ხელოვნებით და ცოდნით შესრულა რეტინოვის როლი ე. აბაშიძემ, მეტადრე მშვენიერი იყო პირველ მოქმედებაში იმ ადგილებში, სადაც იხატებოდა კრძალვისა და სინარბის გრძობანი. უნდა ენახა კაცს, რა ნაირის კილოთი, რა ნაირის სიკმაყოფილებით, აღტაცებით და დაკმაყოფილებულის თავმოყვარეობით ამბობდა ბ-ნი აბაშიძე სიტყვას: „ჩემო ძმაო“. ჩვენ ბ-ნი აწყურელი პირველად ენახეთ ბებრის როლში და ვერ ვიტყვი, რომ კარგათ შევსრულდებინას თავისი როლი. ბ-ნს აწყურელს ჯერ კიდევ ბევრი ჯაფა და დაკვირვება ჰქარტებს სომხურ კილოს გასასწორებლად. არ იყენებ ურიგო ქ-ბ-ნი ვაბუნია-ცაგარლისა და მძინაროვისა. ე. მესნიევს სცენაზე თავი კარგათ ეჭირა. მაქსიმიძე ჯერ კიდევ ვერ დაეჩვია როლის თავიდან ბოლომდე. ცრთვარად ერთ-წომიერად გატარებას აქტორი იმას უნდა ცდილობდეს, რომ ტიპის შესაფერ კილოს (ТОНЪ) არ აუხვიოს, თორემ შთაბეჭდილება ფუჭდება. მაქსიმიძე ერთს ფრანში ხანდისხან ათჯერ გამოისცვლის კილოს... სასურველი იქნება, რომ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მაქსიმიძემ, მით უფრო რომ ეს ადვილი გასასწორებელია: საჭიროა როლის ხმა-მაღლა, ერთს რომელსამე გადაჭრილ კილოზე კითხვა.

ახალ-ვაზდა ქალის, მაშოს როლს თამაშობდა სცენაზედ ახლად გამოსული ქ-ბ-ნი ცაგარლისა; ახალ-ვაზდა მოთამაშემ სასიამოვნო ზედ-მოქმედებაბა იქონია მაყურებლებზედ. სასურველი იქნება, რომ ბ-ნ რეჟისორმა რომელიმე უფრო ძნელს როლში გამოუშვას ქ-ბ-ნი ცაგარლისა.

„დროებით სიყვარული“ ბევრჯერ უნახავს საზოგადოებას და ყოველთნ მშვენიერად ჩაუვლია ამ პიესის წარმოდგენას მ. საფაროვი-აბაშიძისას წყალობით. მაგრამ წარსულ წარმოდგენაზე პატივცემული არტისტი-ქალი სწორედ შეუდარებელი იყო, მეტადრე პირველს მოქმედებაში განუსაზღვრელ აღტაცებაში მოიყვანა მთელი თეატრი თავის ქვიანის, დახელოვნებულის და მიმზიდველის თამაშობით. ყოველს მის სიტყვას, ყოველს მიხერა-მოხერას, ყოველს ნაბიჯის გადადგმას აღტაცებაში მოჰყავდა დიდი და პატარაც და ამ ნამდვილ ესტეტიური დაკმაყოფილებებისათვის ღირსეულადაც დააჯილდოვა ხლხმა ტაშის

კვრით და ვაშს ძახილით. კარგათ თამაშობდა მ. მძინაროვისა თავის როლს. ურიგი არ იყო აგრეთვე ე. მესნიევი ხიმიკაშვილის როლში; იე. ცაგარელს ეტყობოდა ოთხშაბათს წარმოდგენილ იქნებმ „ესპანელი ვაჭარი“-კომედია ხუთ-მოქმედებად.— რომ როლი მთლად ვერ დაეძლია.

გალიკო—ია.

რუსული თეატრი

წარსულს შაბათს რუსულ სცენაზე დადგმული იყო მეერბერის ოპერა „დინორა“, ხოლო სიმღერა იტალიანურ ენაზე იყო. საუცხოვოდ შესრულა თავისი როლი ქ-ბ-ნი კლიამენსკისამ. საზოგადოთ კლიამენსკისას მშვენიერი და მაღალი ხმა აქვს და დინორას როლი ხომ განსაკუთრებით მაღალს ხმას თხოულობს, პატივცემული არტისტი-ქალი ათჯერ გამოიყვანეს სცენაზე ტაშის კვრით და ვაშს ძახილით. არ იყო ურიგო აგრეთვე ბ-ნი იაკოვლევი და თვით ბ-ნი რიადნოვიც კომიკურ კარენტინის როლში.

კვირას წარმოადგინეს ახალი რუსული ოპერა „მანუა“. ეს ოპერა დიდს ხელოვნებას თხოულობს მოთამაშეებისაგან და ამიტომ ბ-ნი იაკოვლევის მეტი ვერ ახერხებდენ თავიანთი როლების ჯეროვანად წარმოდგენას. ალაგ-ალაგ არა უჭირდა ბ-ნს მოლოჩანოვსკის, თუმცა კოჩუბების როლი ამ არტისტის უკეთეს როლად ჩაითვლება. ყველაზე ცუდი ქ-ბ-ნი კრანოვისა იყო.

სომხური თეატრი

13 ამ თვეს სომხური დრამატულ დასისაგან წარმოდგენილი იყო დიჩენკოს სამ მოქმედ. დრამა „მსხვერპლისათვის მსხვერპლი“. ბ-ნი ადამიანი თამაშობდა ბოჩაროვის როლს და უნდა გამოეტყდეთ მშვენიერადაც შესრულა ეს მეტად ძნელი და ალაგ-ალაგ უხვირო როლი. მეტად ხელოვნური თამაშობა იყო პირველ მოქმედებაში და უფრო სუსტი მეორე მოქმედებაში, რადგან არტისტმა გადააქარბა... ეს უბედურება ბ-ნს ადამიანს ხშირად ემართება. არა უჭირდა რა ქ-ბ-ნს ზაბელას. ვოდვეილში ბევრი ტაშის კვრა მიიღეს ბ-ნმა ტერ-დავითიანმა და ქ-ბ-ნმა ვარლუნი.

გალიკო—ია

ჰამლეტი საფრანგეთის თეატრში.

28 ენკენისთვის საფრანგეთის თეატრში წარმოადგინეს შექსპირის „ჰამლეტი“, რომელიც ფრანგულს ენაზე გადმოღებულია ლექსად ალექსანდრე დუმას და პოლ მორისის მიერ.

საზოგადოდ ფრანგებს შექსპირის დრამებში იღბალი არა აქვთ, და იშვიათადაც მოესწრებიან ხოლმე შექსპირის რომელიმე დრამის დადგმას პარიზის რომელიმე სცენაზე და თუ მოესწრენ ვინ იცის როგორ შეასრულებენ! ესეც რომ არ იყოს, თითონ ფრანგები დიდად არ წყალობენ შექსპირის დრამებს, თუმცა ეს ერთადერთი უცხოელი ავტორია, რომლის ნაწარმოებები პარიზის სცენებზე იდგმებიან, — ამ დრამებს ფრანგები სიურთავარეს და გაჭიანურებს. უჩივიან.

მარმან სარა ბერნარის სურვილით პორტ-სენ-მარტენის თეატრში ჰამლეტი წარმოადგინეს და კაცმა უნდა თქვას ვერა ფერი ჰამლეტი ჰყავდა პორტ-სან-მარტენს ბ. გრანის, ჰამლეტის როლის მოთამაშეს, რეალისტი, წინაბედული პირი გამოჰყავდა, ისე რომ სარა ბერნარს, რომელიც თავის ჩვეულის ნიჭით და ხელოვნებით ასრულებდა ოფელიის როლს, ამ პიესის დადგმით ის არ შეუსრულდა რასაც მოელოდა და ამიტომაც, მგონი, ჰამლეტმა დიდხანს ვერ მოიკიდა ფეხი პორტ-სენ-მარტენის თეატრში.

ესლა საფრანგეთის თეატრში ჰამლეტის როლს ბ. მუნეტ-სული ასრულებს; ეს შესანიშნავი არტისტი 10 წელიწადი სწავლობდა, ჩხრეკა, შინჯავდა ყოველის მხრით ჰამლეტის როლს და რაკი თავის თავი საკმაოდ მომზადებული დაინახა, საფრანგეთის თეატრის გამგეობას ჰამლეტის დადგმის წინადადება მისცა.

სუყველა ფერი ხელს უწყობდა ამ საღამოს: პიესის ღირსება, მის შესანიშნავი ლექსად გადმოღება ფრანგულს ენაზე, როლები შევნიშნავთ შესრულება, სცენის მდიდრულად მორთულობა, ტანის-სამოსის სიბრწყინვალე, მაგრამ სუყველაზე შესანიშნავი ამ საღამოს ბ. მუნეტ-სული იყო. მის თამაშობის მნახველი, გატაცებული, თავდავიწყებული ყურს უვლებდა და რაც მისთვის აქამდინ წარმოუდგენელი, შეუგნებელი, და „ჯანყით და ბურუსით“ იყო მოცული ესლა მუნეტ-სული ისეთი სიამაყით უხსნიდა, რომ მაკტერალი თავის თავს მოვალედ რაცხდა მადლობა, არტისტისადმი პატივისცემა და გაკვირდება რითიმე გამოეცხადებინა და მართლაც თავდავიწყებული ტაშს უკრავდა, რომლითაც ცოტა არ იყოს საქმეც გააჭირეს.

არ შეიძლება კაცმა თქვას, რომ მუნეტ-სული ერთი ალაგი მეორეზედ უკეთესად გაატარა, — სულ ყველა სცენებში სცენის შესაფერად გასაოცარი თამაშობა ჰქონდა, სუყველა სცენა დაწერილებით ჰქონდა შესწავლილი: მის თამაშობაში, როცა მამის აჩრდილი ჰამლეტს უძახის, ინატებოდა დიდებულობა, ღირსეულობა და განუსაზღვრელი პატივის ცემა აჩრდილისადმი; არტისტის ხმა ერთსა და იმავე დროს რბილიც და საზარელიც იყო პოლონიუსის და კარის კაცების სცენაში, რომელიც არტისტმა შევნიშნავთ გაატარა; დაწინებულ ტაშის კერა და ალტაცების მურმური ერთად აირია. როცა ჰამლეტი, სიგიჟის სცენაში, დაფარულის სახით, მუხლის ცოცხლად უახლოვდება მეფეს, რომელიც გონზავს მოკვლის სცენით აღვლევებულია, და საშინელს სინარულის ყვირილით, გიჟურის სისხლ-მწყურვალეობის მაგასად, აცხადებს მეფის დანაშაულის დაჯერებას. შევნიშნავთ იყო ვგრეთვე დედოფლის ოთახის და სალოცავის (*Oratoire*) სცენა, საცა შეილი, დედის საშინელი მსახურობა, ფეხთ-ქვეშ უვარდება დედას და ბოდიშს თხოვს. ოფელიის საფლავის სცენამ გაამეორა დაწინებული ტაშით და განუსაზღვრელი ალტაცება.

ამ ალაგებმა უფრო შესანიშნავად ჩაიარეს და მეტი ოვაციონები გამოიწვიეს და ამიტომ მოვაქციე ყურადღება, თორემ, როგორც ზევითაც ვთქვი, მუნეტ-სული მთელს პიესაში შეუღარებელი იყო, ისე რომ ამ საღამოს ამ არტისტის ტალანტმა უმთავრეს წერტილს მიღწია და ბევრი თავყანის მცემელიც მოიბოვა; 20 წელიწადი ეძებდა ეს პატივ-საცემი არტისტი თავის ტალანტის შესაფერს როლს და ბოლოს როლიც იბოვნა — ეს ჰამლეტი არის.

თავის სიბრწყინვალეთ — მუნეტ-სულით პიესის სხვა პირებიც დაჩრდილა. უმთავრესი ყურადღება უმთავრესს როლზე იყო მოქცეული, მაგრამ ზოგი ერთმა პირებმა თავის რიგიანის თამაშობით მანც მოიპყრეს საზოგადოების ყურადღება, თუმცა იმდენად არა, რამდენადაც ღირსნი იყვნენ.

ქ. რეიმერგმა, ოფელიის როლის მოთამაშემ, საზოგადოებას უმანკო, ნახი, წრფელი 16 წლის ოფელია დიდის ხელოვნებით დაურატა; სიგიჟის სცენა ისეთი სინამდვილით გაატარა, რომ მამენტს მის საცოდავობა და მწუხარება უნებურად სულს უხუთავდა.

ბ. გოტმა სინამდვილით და სისრულით აჩვენა ხხალხს ყბედი ღეთის მოყვარული და ხან-და-ხან აუტანელი პოლონიუსი.

ბ. კოკლენმა (უნტროსმა) სიცილით დახოცა

ხალხი, საფლავის მთხრელის კუპლეტების ფილოსოფიურად მღერით.

სხვა პირებმაც რიგიანად შესარულეს თავ-თავისი როლები.

რაც შეეხება ტანთ-საცმელს და სცენას, მეტი-მეტი ბრწყინვალე და ძვირფასი იყო, მეფის ტანის სამოსი 5000 ფრანკი ღირდა; იტყობოდა თეატრის გამგეობას არაფერი დაეშურებინა პიესის რიგიანად გამოსვლისათვის.

საფრანგეთის თეატრმა პირველად დადგა თავის სცენაზე შექსპირის პიესა და ღირსეულადაც შესარულა.

რადგანაც „თეატრის“ მკითხველებმა ცოტად თუ ბევრად იციან სარა ბერნარის ბრაზილის საქმე, ამიტომ, მგონი, უინტერესო არ იქნება მათთვის თითონ სარა ბერნარის წერილის შინაარსი ამ საქმის შესახებ. აი ის წერილიც, რომელიც მოუვიდა პარიზში ერთს სარას მეგობარს.

„აი სიტყვა-სიტყვად რა მოხდა: ჩვენ „Maitre de Korges“—ნ ვიმეორებდით; ასე ოთხს საათზე ქ. ნუარმონტმა სცენა გადაიარა ორის კაცით ერთად რომლებსაც ჩემოდნები მიჰქონდათ: ერთმა თეატრის მოსამსახურეთაგანმა უთხრა ბ. გროსის ნება და ურთველად გატანა შეუძლებელია.

„სიკაპასით გაგვიტყვი ქალი სცენაზე ამოვარდა: ქალბატონო, მე აქ ქურდად მივაჩნევი, ეს თქვენ ხართო და ამ დროს თავში დამარტყა; გონზე მოსვლამდის ჩემი ამხანაგები შემომხევიენ და მოქმედობა დამიზალეს.

„ქალი ციხეში გაეგზავნენ, მაგრამ სალამოზე ისევ გამოვაშვებინე; ქუთუზე შემოილილი მეგონა და მეცოდებოდა.

„ამავე სალამოს მე აღრიენ ლეკურორს ვთამაშობდი და ქ. ნუარმონტიც ამ პიესში ერთა.

„მეოთხე აქტის დიდის სცენის შემდეგ აღრიენი თავის კერით გადის; იმ დროს, როცა თავ-ღახრილი გაეჩერდი იმ ჯგუფის წინ, საც ის ქალიც იყო, ამან გაუგონელი გინება დამიწყა.

„სიანჩხლემ გამოიტაცა; ამ დროს ჩემი მოახლე დაეინახე, რომელიც ფრუფრუს (Froufrou) მათარას წმენდა; მაშინვე წავართვი და ქ. ნუარმონტი საშინლად გავმართახე.

„სხვა არც მიჰკარება მას, არც ხმა გაუცია. ეს ამბავი, გეუბრებით ჰემპარიტია. ქ. ნუარმონტი ჩვენს

სახოგადლობას მოშორდა და მაზე ჯერ არაფერი გავიგია“.—

ამ ცოტა ხანში ნუარმონტის მეგობრებიც მოვლიან მისგან წერილს.

ერთი ახალი ანბავი კიდევ: ეიკტორიენ სარდუს „Patrie“ (სამშობლო), რომელიც თავ. დ. ერსისთავის მიერ გადაკეთებულია ქართულს ენაზე და რომელიც აგერ რვა თვეა პორტ-სენ-მარტენის თეატრის სცენაზე, თამაშობენ ოპერად გადააკეთეს.

პირველის აქტის რეპეტიციონი უკვე იყო და, როგორც აქაური ჟურნალ-გაზეთობა ანბობს, შეენიერი გამოსულა.

პ. ყიფიანი.
პარიზი.

ხალხური ლექსი.

ქალო, მაგ შენს სიღამაშეს ნეტაუკაცი როგორ ღირსა, ინდისტნისა ქამსას გეხსარ, მაგრამ წმინდაო დაკეცლას; ერთსულ მერგო შენი ნახვას, გაცნას შავი თვალებისა, დაქუქი, დამძინებოდა, დასე იმ ურჯულა ძილსა!.. ლეკებიც დაგვისუდებიან იმ შირველ დაღისტნისაო: შური მისოგეს და გაცქევი, გურჩევი ქაბახისსო, ღვიწი მისოგეს და გაცქევი, გურჩევი შარბათისსო, ხორცი მისოგეს და გაცქევი, გურჩევი ბროლ გუბისსო ცოლი მისოგეს და ვერ მივე, მიმეყანდა სიამძისსო; ან დაიშლეს, აკოცეს ცხრა ნაწიხე გოშრის თმისსო, ლეკურსს სული მოვისვი, ნაჩუქებ ცოლის ძმისსო, ერთი ისეთი გადავკარ, წვერმა უწია ქეშასო; ერთი იმანაც გადმოძვარ, სეტყეას ჰგვანდა ცისსო! ორნიე იქ დავისოცენით: სამძღვარსა მუხრანისსო;— ადგა ქალი და წავიდა, მივიდა თავის ძმისსო.

შეკრებილი ლ. დოლოჯობისაგან.

შენ ქალო ასე თეთრი ხარ, როგორც საყვარში კირიო.— თვალ-წარბი გადაგსატყია, მთვარეს მიგეიგეს პირიო.

წამოდი ქალო მედა შენ დავსსდეთ მაღალს სერსაო, ვინც შემოგესდოს გაკვირდეს მე და შენს სიტურფესაო.

ქალო შენი სიყვარული ერთსულ გულში ჩამიგდა, ჭორი ბუკრი გავიგონე, მაგრამ ყური ან მიგდა.

შეკრებილი ვნ. ანასტ. ამირ-ბისაგან.

ასისტატი.

როგორ არ იცვენ, განსაკუთრებით კიდევ.

ჰამლეტი.

მამ მკ უბრალო კამათობას ვერ ამოფინებთ
ორი-ათას კაცს და ოქროსაც თუნდ ოცი-ათასს.
ეგ სიმდიდრის და მოსკუნების ნყოფი არის,—
იგი მუწუგად შიგნით გემში რომ დაწულულდება,
გარედამ, თითქო უმიწეზოდ, ჰკლავს ადამიანს.—
გმადლობთ, ბატონო.

ასისტატი.

ღმერთი იყოს თქვენი მთავრეული.

(ასისტატი გადის.)

როზენკრანცი.

არ მოხმანდებით?

ჰამლეტი.

თქვენ წინ წადით, მე მოგეწეით.

(გადიან როზენკრანცი და გილდენსტერნი.)

თითქო ყოველი შემთხვევა მე თავლ-წინ მესასვის
რომ დამეკედროს, რად გევიანოზ ვჯვრის-ამოყრას...
რა არის კაცი, თუ იგი თვის კამოფილებას
ტანას და ძილში ჰპობს მსოლოდ? მსეცია, სსვა რა?
ვინდ მოგვანიჭა გონებისა შორს-მსედველობა,
ჩაგვასეღვიანა ხვეწ წარსულსა და მომავალში,—
ის არ მოგვცემდა ამ ღვთაებრივს ნიჭიერებას,
თუ სასარგებლოდ მოხმარებას ვერ შეეძლებოდა.
მე ეს არ მესმის, მუდამ უქმად რისთვის ვიძახი:
„ეს საქმე უნდა შევასრულო“, რის უფლაფერი
შესასრულებლად ხელს მიმართავს: როგორც მიზეზი,
ისე გულის-თქმა, ძლიერება, სსშუალება.
მამ რაღა მიძლის? პირუტყვეული თავ-მინებება,
თუ რაღაც ეტვი სიმძალისა, რაიღა ცდილობს
დასაწვისამდე შედ-მიწენით საქმის შეგნებას?
ამ ეტვი მსოლოდ ერთი წილი ერგება ტკუას
და სსში წილი სოამ სიჯახნის ნყოფი არის.
ქვეუნი ოდენი მკავლითნი მე მსქეზებენ:
აი თუნდ იგი გაწეობილი, ძლიერი ჯვარი,
თუნდ მის მთავრე; ახალგაზდა, ნორჩი მთავარი,
რომელს სურვლი ღვთაებრივი სსხელის პონის
უპირდაპირებს უხილავსა და სსშიმ სიფათს;
იგი არ ინდობს თვის არსებას სსუსტსა და მოკვდავს,
და არ არიდებს ფუყე ჩაღის ნაფასევისთვის

არც შიშს, არც სიკვდილს, არც მუხთალ-ბედს დაუდგრო-
მელსა.

სასელოვანი კაცი მარტო დიდს საქმეს არ სდევს,
იგი უბრალო საქმისთვისაც თავს გამოიდებს,
თუ შელასული არის იმის ჰატონსება.
მე რაღას ვდგავარ? ამ ძილიდამ რად არ მადვიებს
ან მამის მოკვდა, ან შერცხვენს დედიჩემისა,
ან გონების სჯა, ან ძლეჯარე სისხლის დულილი?
სოამ ვხედავ, ჩემდა სამარცხვინოდ, რომ ამ ურცხვს ვჯარს,
რაღაც ოცნების ნყოფისა—სასელისათვის,
სასიკვდილოდა გაუწირავს თავისი თავი
და საფლავისკენ, როგორც საწოლს, მიისწრათება!
უნდა ბრძოლო რაღაც მცირე მიწის გულისთვის,
რაიღ მანუბარ მეამართა გერც კი დაიტეეს
და არ იკმარებს მისთვის მკვდართა მისაზარებლად! —
ამ დლიდამ ჩემ ფიქრს სისხლს გამოკრწეობ, ან მოკ-
სპობ სრულად.

(გადის.)

სურათი V

(ელსინორა)

(ოთახი ციხე დარბაზში)

(შემოდან დედოფალი და ჰორაციო.)

დედოფალი.

არ შემიძლიან, ესლა იმას ვერაფერს ვეტყვი.

ჰორაციო.

აღარ გვეშეება, დედოფალო, სრულად შემიძლია
და რომ შეგსელოთ, მეტის-მეტად შეგებრებოთ

დედოფალი.

მერე რა უნდა?

ჰორაციო.

თავის მამას იგონებს მსოლოდ.

ამობს, ამ ქვეუნად ცბიერებად დაბოუდა,
გენსის, გულს იცემს, შოფთავს იგი მცირე მიწეზით,
ეტვიანობით ღაზარავობს და მის სიციქება
თუმც ნასეგარსედ უაზროა და უმნიშვნელო,
მანც მსმენელის აზრის პონას მათში ცდილობენ
და განაგონსა უფერებენ თავიანთ ნაფიქრს.
მართლაც, გაცს ძალუმს ოცნებითა წარმოადგინოს,—
მის სსხის შეშლას, ხელის ქვევას, აქეს რამე აზრი
და იქნება რომ დიდს წყენასაც გადავევიდოთ.

დედოფალი.

მართლაც, სჯობიან, ვუთხრათ რამე, თორემ იქნება

უძეცარ ხალხში საშინაო ხმები გავრცელდეს.
უთხარ, მოვიდეს.

(პორაციო გაღის.)

ეს ყოფილა ცოდვის ბუნება:
შემთხვევა მცირე, უმნიშვნელო, ჩემს დატანჯულ სულს
ჭკონია დიდის სიფათისა წინა-მორბედი,
და დანაშაულს ეს სასჯელი ჭკონია ჭირად,
რომ არ-გამხელის მორიდება თვითვე ამხილებს.

(შემოდინ პორაციო და ოფელია.)

ოფელია.

სად ბრძანდება შენიერი დედოფალი დანიისა?

დედოფალი.

როგორა ხარ, ჩემო ოფელია?

ოფელია.

(მერის.)

„— შენი სატრფო როგორ ვიცი,
„რა აქვს ნიშანი?
„— უკვილები, ხელთ კომბალი,
„ფესთ ქალმანი“

დედოფალი.

გაი ჩვენი ბრალი! რას ნიშნავს, ჩემო კარგო, ებ
სიმღერა?

ოფელია.

რა, რა ბრძანეთ? გთხოვთ, რომ უური დაუგდოთ,

(მერის.)

„იგი მოკვდა და დამარხეს,
„მოკვდა, დამარხეს;
„ფესითთ დიდი ღოღი დასდგეს,
„თავით ხე დარგეს.“

ოჰ, ოჰ!

დედოფალი.

შვილო, ოფელია...

ოფელია.

გთხოვთ, უური დაუგდოთ.

(მერის.)

• «თოვლივით თეთრ სუდარაში...»

(შემოდის ხელმწიფე.)

დედოფალი.

შესხედთ ერთი, ბატონო ჩემო, რა საშინელი სა-
ნახავია!

ოფელია.

„გამოკასკიეთ;
„უკვილებით მოვრთოთ, უსკად
„ცრემლი ვაფრქვიეთ.“

ხელმწიფე.

როგორა ხარ, სუვარელო ოფელია?

ოფელია.

კარგად გასლავართ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ.
ისინი ამბობენ, ჭოტი მეპურეს ქალი არისო. ღმერთო
ჩემო, ეს ვიცი, რა გართ და ის კი არ ვიცი, რა ვი-
ქნებით. ღმერთმა ეგ სუფრა გიკურთხოთ.

ხელმწიფე.

სულ თავის მამსუდ ჭფიქრობს.

ოფელია.

გთხოვთ, ამ ღაზარაკს თავი დავანებოთ და როცა
ისინი გვითხავენ, ეს რას ნიშნავსო, აი რა პასუხი მი-
უგეთ:

„სვალ ვალენტინას დღე არის,
„გივალენტინებ,
„მოვალ ადრე და სარემეფსედ
„დაგიკავუნებ.
„ადგები და კარს გაუღებ,
„უმიხვო ქალსა
და მანკიერს გაისტუმრებ
„თვალ-ცრემლიანსა.“

ხელმწიფე.

ქვირფასო ოფელია!

ოფელია.

მართლს მოგასხენებთ; ფიცი რა საჭიროა. აი ეს-
ლავ გაუთავებ.

„ფიცის ძაღლო, ხომ ხედავთ თქვენ
„აკატა შერცხუნას!
„მაწვილ-ქაღლო ნუღარ მისდევთ
„მომხიბლველ ენას.
„ქალმა უთხრა: — შენ დამხირდი, —
„ცოლად შეგირთავ.“

„—გუიერდით რომ არ დამწოდოდი,
„აკი მისად ვიყავ.“

ხელმწიფე.

დიდი ხანია, რაც ამ ყოფნაშია?

ოფელია.

იმედი მაქვს, ყოველისფერი კარგად იქნება, უნდა მოკითხინოთ; მაგრამ მე ტირილს მეტი არა დამჩვენია— რა? ის ხომ ცივს სამარეში ჩააწვიანეს. ჩემი მძა შვიტ- ყობს ამ ამბავს. გმადლობთ კეთილი რჩევებისათვის. ახა, სად არის ჩემი ეტლი. მშვიდობით, ქალებო; დამე მშვი- დობისა, ჩემო ძვირფასო, დამე მშვიდობისა, დამე მშვიდობისა.

(გადის.)

ხელმწიფე.

უკან გაქუევით და თვალებით გეპირით მისვლად.

(ჰო რ ა ც ი ო გადის.)

გე გესლი არის უდიდესი სანტანჯულისა,— ჰგუა-გონება მამის სიკედილს წაერთმევიან. სედავ, გეტრუდა, მწუხარება კანის გულს როგორ რახმად—დაწყობილ ჯარითა მოკვარება, და არა მარტოდ, ვით ჯამეში მალვით მოსულა. ჯერ სომ მაცისი მამა მოგვლეს, მეტე ჰამლეტით თვითონვე თვისის განძებების მიწეში გახდა. ზოლონიუსის მოკვლამ კიდევ უბრალო ხალხს მეტის-მეტად აამღვრია, აამღვლვარა და საშიშ ჭარბებს მითქმა-მოთქმით ავრცელებს იგი— ჩვენც ცუდად ვქმენით რომ ფარულად დავამარხვიანეთ. ოფელიაც ის აღარ არის, რაც უწინ იყო, თავის გონებას გაუყარა, და უგონებოდ ხომ სურათნი ვართ, ანუ უფრო მხეცნი-პირუტყვნი; ბოლოს ეს უდრის ყოველს ამას, რაც ჩამოკეთვლავ, რომ საფრანგეთით იმისი მძა ჩემად მოსულა, გაცუბულა, ეს ამბები რომ გაუგია და შავს ფეჭებში, ვით ღრუბელში, გამოხვეულა. ჩამოგონებულნი, რა თქმა უნდა, არ მოაკლდება; ესენი ლაერტი ყურში მამის მოკვლის შესახებ გესლიან ამბებს ჩააწვიან, გულს მოუწამლენ, და როდესაც ვი დამნაშავე მათ დასჭირდებათ, დასაჯერია უფრო, რომ ჩვენ დაგვასახლოვნ. ჰოი, გეტრუდა, სასიკედილოდ რამდენჯერის მტომრავს მე ეს ამბავი, ვით მანქანა ვოჯჯოხეთისა.

(გარეთ ხმაურობა. შემოდის ერთი მ ხ ლ ე ბ ე ლ ი.)

დედოფალი.

ეს ხმაურობა რასა ნიშნავს!

ხელმწიფე.

აქ დაუძახეთ

ჩქარა ჩემ მტკელთა, და უთხარით, კარს უდარაჯონ. რა ამბავია?

მხლებელი.

თავს უშეველეთ, ჩემო ხელმწიფე, თვით ოკეანე, ოდეს იგი კიდეთ გადასეთქს, არ მუსრავს ისეთ სისწრაფითა ნაპირის მიმდევრებს, როგორც ლაერტი მრისხანებით, გამძვინვარებით თქვენთ მსვლებლთ. ვირტევი ამხობს, ხალხს ერთი- ერთმანეთს.

ხალხი უწოდებს იმას ბატონს, თავის ხელმწიფეს, და თითქო ესლას იწებოდეს ჰევენის ტრიალი, დავიწებოდეთ ჩვეულებს ძველი და წმინდა, რაც აძლევს კანის სიტუას ძალას და მნიშვნელობას,— ჰევირანს: „ლაერტი, ლაერტი იყოს ჩვენი ხელმწიფე!“ ქუდების სროლა, ცხარე ტაში ერთვის კიუინას, და აღის ზეცას ეს ხმა „ლაერტი იყოს ხელმწიფე!“

დედოფალი.

ჰხედავ, როგორის სისხარულით მისდევნ ტრუ კვალს!— დანიის ძაღლხო, ანუ ჰეფთ, სწორე გზა გაიკენით.

(ხმაურობა უფრო ახლო მოსმის, შემოდის ლ ა ე რ ტ ი, შე- ჭურვილი. დანელი უკან მოსდევნ.)

ხელმწიფე.

კარებს ამტვრევენ.

ლაერტი.

აქ ანუ მოხვალთ. — მეფე სად არის?

ხალხი.

ჩვენც მანდ შეგვიშვით.

ლაერტი.

დამსცადეთ.

ხალხი.

კარგი, მოვიცდით.

ლაერტი.

მადლობელი ვარ. გადით და კარს უკან დადექით.

(ხალხი გავა.)

საზიზლო მეფე, მომეც, მომეც მე მამაჩემი!

დედოფალი.

დამშვიდდი, ლაერტი.

ლაერტი.

ერთი წვეთიც ჩემის სისხლისა
რომ მშვიდი იყოს, ჩემს ბუშობას დაამტკიცებდა,
შეურაცხ-ჭყოფდა მამა-ჩემსა და თვით დედა-ჩემს
უმანგო შუბლსეგ დაასვამდა გარყვნილების დაღს.

ხელმწიფე.

რა მიხვნი, ლაერტ, ეგრე აღბორებულხარ?—
გერტრუდაჲ, თავი დაანებე; ჩვენთვის ნუ შიშობ.
მეფეს ისეთი ღვათებრივი მადლი იფარავს,
რომ ღალატს მარტო შორით ძალუმს იმის შესედა,
ასლო კი საქმეს ვერ უფერებს თავის განზრახვას.—
მითხარ, რადა ხარ, ლაერტ, ეგრე აღელვებული?—
დაესხენ მეთქი, ჭო, გერტრუდა.—სთქვი და ვურს გი-
ბამბ.

ლაერტი.

სად არის მეთქი, მამა-ჩემი?

ხელმწიფე.

გარდაიცვალა.

დელოფალი.

მაგისი ბრალი არ ყოფილა

ხელმწიფე.

დაესხენ, მკითხოს.

ლაერტი.

მერე რამ მოჰკლავ? მე თქვენ მატით ვერ მომტყუებთ.
რად მინდა ფიცა, ანუ გრძობა ჭკუეგრდომული!
ემსაგებსაც კი წაუღიათ და ღრმა ჭურღმულში
დეე, ჩაჯარდეს სინდისიც და მორიდებაც.
არ გაუჭტვეო მე დაწვევას თუნდ საუგუნოს,
არად ჩავაგდებ საჩქარს და საიქიოს,
და რაც მომივა, მომივიდე. მაგრამ ეს კია,
რომ მამი-ჩემის სიკვდილს მალე გადავხდი მკვლელს.

ხელმწიფე.

მერე ვინ გაშლის?

ლაერტი.

ცის-ჭეშუთს არ შეეპოები
და ისე ვინმარ ჩემს მცირე საშუალებას,
რომ შემწეობით მისით დიდი საქმე შევიძლო.

ხელმწიფე.

ლაერტ, შენ განდა, რომ შეიტყო სწორე ამბავი,
ძვირფასის მამის სიკვდილისა, მაგრამ ეს მითხარ,

განა გსურს, ეველას შური აგო, ავისც და კარგსაც
და მტერ-მთევარე ერთმანეთში არ განაწიო?

ლაერტი.

მარტო მტერს ვდექი...

ხელმწიფე.

არ გინდა კი, იბოგო იგი?

ლაერტი.

და მეგობრებსა აქ, ამ მკერდზედ მგრად მივიგრავ,
მზა ვარ ვაწოვო ჩემი სისხლი, მით გამოგვიგებო,
როგორც ერთგული ვარსვი თავის ბარტყებსა ჭებებსაც.

ხელმწიფე.

შენ ესლა ისე ღანაწავობ, როგორც შეჭფერის
მამი-შენის შვილს, როგორც დიდგაცს, კეთილად აღზ-
დილს.

დღის ნათელსავით ცხადი უნდა იყოს ეს შენთვის,
რომ იმ სიკვდილში უბრალე ვარ, წილი არ მიდექს,
კარდა უსომო, ფრად საგრძნობ მწუნსარებისა.

ხალხი.

(გარედამ.) გზა, გზა მიეცი!

ლაერტი.

რას ჭევირიან, რა ამბავია?

(შემოდის ოფელია, უცნაურად მორთული ჩალოთი და ყვა-
ვილებით.)

ოჰ, ცეცხლის აღო, გამოძიშე სრულად გონება,
შენც, ცხარე ცრემლო, ეგ სიმღამე გააშვიდებენ
და ამომიწვი ამ თვალთაცან გრძნობა და სედა.
ზეცას ვფიცავ მე გადავხდი შენს ჭკაყვალ-შემშლელს,
წონით მივაგებ, ვიდრე სსწორს ძალსეგ არ დაესრი.
მისის ვარდო, ოფელია, ძვირფასო დანო.
ტუბილო, უმანკო! ჭო, ზეცავ, ყმაწვილის-ქაღის
ჭკუა-გონება განა ისე წარმავალა,
როგორც სიცოცხლე მოხუცისა ადამიანისა?
ნამდვილ სიყვარულს ეს სცოდნია; იგი თვის საგანს,
რაც უკეთესი გაჩნია, უკან ადევენს.

ოფელია.

- „კუბოს-მდებარე მიჭქონდათ
- „სასე-სნდილი,
- „სამარეში ჩვენგან ერგო,
- „კენესა-ტირილი...

მშვიდობით, ჩემო მტრელო!

ლაერტი.

შენი ჭკუა რომ შეგრჩენდა და გეჭადაგნა
შურის-ძიება,—ვერ გასჭრიდა ეგრე ძლიერად,

ოფელია.

უნდა ასე იმღეროთ:

„ჭკვით, ჭკვით, სამარეში
„ჩინამეთ იგი“...“

ოჰ, როგორ მოუსდება ამ ლექსს ჯარანს-ტრიალი.
ის მატყუარა მოურავია, თავის ბატონის ქალი შეცდო-
ნა და გააპარა.

ლაერტი.

ეს უაზრო ღაპარაკი აზრიანისა სჯობს.

ოფელია.

აი საკემელან-ბაღასია. ეს ნიშნავს, არ დამივიწყო.
გთხოვ, ჩემო საყვარელო, არ დამივიწყო. აბერ კიდე
ჭკუენის-გულს, გულიდამ არ ამომიღო.

ლაერტი.

გოჲა, მაგრამ სიბიკეშიან ჭკუა შერჩენია, სულ
დავიწყებსას და მოგონებსზედ ჭიფქრობს.

ოფელია.

აი კამა შენთვის და ღიღილეობი. აი შენთვისვე მ-
რიაშ-საკემელან; ცოტა მეც დამრჩა... შეიძლება ამას ღვთის-
მშობლის ყვავილი დაუკმაროთ... შენ გაცანალებს ამის
ტარება და მე კი... მე საკემელან უნდა ვუკმარო... აბერ
გულისაბა... მე მიხდოდა იცნ მომენა, მაგრამ სულ-
ერთიანად დატყნა, როცა მოკვდა მამა-ჩემი... ამბობენ,
კეთილი ბოლო ჭქონდა.

(მღერის.)

„რობინ, ჩემო სინარელო,
„ჩემო თვალის-ჩინო...“

ლაერტი.

სეკდან და დარდას, მწარე ტანჯვას, თვით ვოჯჯოხეთსა
იგი სასეს სდებს საამოსა და საკეთილს.

ოფელია.

(მღერის.)

„მაშ არ მოვა თავის დღეში?
„თავის დღეში აღარ მოვა?
„წავიდა, გაჭქნა,

„სამარეს ჩამერა,
„თავის დღეში აღარ მოვა!
„წვერი უგავდა თუთოს თოვლსა,
„წავიდა შორსა,
„გვას არა-სწორსა,
„დაილოცოს იმის სული!“

და ყველა ქრისტიანის სული! ჩემი ღოცვა ეს არის.
ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი.

(გადის.)

ლაერტი.

ღმერთო, ჭხედავ კი ამ ამბავსა?

ხელმწიფე.

უნდა გაგიყო,
ლაერტი, ეგ ტანჯვა. შენ სამ ამის უარს ვერ მეტყვი.
შეჭყარე, ვინც რომ გაგებული მეგობრები გყავს
და მე და შენი საქმე იმათ გაცანჯინათ.
თუ კი დარწმუნდენ, რომ რამიმე კარგული ვარ,
ანუ შირდაშირ, ანუ მრუდე, მოსკეულის გზით,—
შენ სელთა მოგცემთ საზღაურად ჩვენ ყოველსავე,
რაც გებადაა: ჩვენს სამეფოს, გვირგვინს, სიცოცხლეს.
და თუ გაძტუნდი, მოთმინება სასჯელად გქონდეს
და ერთად ვცადათ, მოკუბოვოთ შენს სულს მშვიდობა.

ლაერტი.

მე თანხმად ვარ. უცნაური მისი სიკვდილი,
ჩემად დამარხვა უსმლოდა და უსამკაულოდ,
აუგებლობა დიდებულთა შესაფერ წესის,—
ესე ყოველი ცად ღაღადებს და მეც მაჭყებებს,
რომ ანგარიში მოვიტოვო.

ხელმწიფე.

ძალაინ კარგი.
და რომელიც კი ბრალეული აღმოჩნდეს, იმას
სამართლის ცელი, დეე, მოხვდეს. წამოდი ჩემთან.

სურნათი VI

(მეორე ოთახი იქვე)

(შემოდინ ჭო რ ა ც ი ჲ და მ ს ა ხ უ რ ი.)

ჰორაციო.

ვის უნდა ჩემთან ღაპარაკი?

მსახური.

მეზღვეთ, ბატონო.

ასე მითხრეს, რომ წერილებიც ჭკონათ თქვენთან.

პორაციო.

შემოიყვანე.

(მ ს ა ხ რ ი გაღის.)

მე წერილი სიღამ მომივა,
ანუ რომელი მომიგონებს, თუ არ ჭამლეტი?

(შემოდან მ ე ზ ვ ე ბ ი.)

პირველი მეზღვე.

ბატონო ჩემო, დიერთი იყოს თქვენი მწყალობელი.

პორაციო.

აგრეთვე შენც.

პირველი მეზღვე.

იყავნ ნება მისი.— აი, ბატონო, თქვენთან ერთი წერილი გახლავთ. ეს ინგლისში გაზავნილმა ელმა მოგართავთ, თუ თქვენ მართლა, როგორც მითხრეს, ჭორაციო ბრძანდებით.

პორაციო.

(ჰკითხულობს.) ,,ჭორაციო, როცა ეს წერილი გადათავლიებო, ისე მოახსენე, რომ ამ მეზღვეებს სულ-მწიფე უჩვენო,—წერილები აქეთ იმასთანაც. ჩვენ ვერ იმ დღე არ გვეყოფო ზღვაზედ, როცა უგრად გამოგვადგა მეგობართა გემი მთლად სამძრად შეტყუროლი. რაგი მეტად ნელა მივრუგადეთ. სსკა გზა არ იყო, უნდა ძალად გვემანანა და გვებრძოლა. შეტყუების დროს მე იმათს გემზე აკვარდი. მაშინვე მოშორდენ ჩვენს გემს და მარტო მე შევრჩი ტყვედ ხელში. ძალიან ზდილობიანად მომეჭრენ ეს ავაზაკები; მაგრამ კარგად იცოდენ, რასაც სხადიოდენ—იცოდენ რომ გადაუსდელს არ დაეტოვებოდი. უეჭველად ჩემგან გამოგზავნილი წერილები სულმწიფისათვის, ჩანარებინე და მაშინვე ჩემთან წამოდი ისეთისავე სიჩქარით, რა სიჩქარითაც სიკვდილს გაქმნივოდი. მე ისეთი სიტყვები მაჭკეს შენთვის სათქმელი, რომ ყურებში თითს დავიკო, თუმცა სიტყვები შორს მოკლენ თვით მათს შინაარსთან. ეს კაცებივე მოგიყვანენ ჩემთან. როზენგრანცი და გილდენსტრენი ინგლისისკენ წავიდენ. იმათსეუად ბუკრი რამა მაჭკეს შენთვის სათქმელი. მშვიდობით.

,,შენი და საუგუნოდ შენად საგულებელი, ჭამლეტი.“

წამო, გაჩვენებთ, ეგ წერილი სად მიიტანოთ.
და თქვენსა საქმეს საჩქაროდ ბოლო მოუღეთ,—
უნდა წამიძღვეთ მასთან, ვინც რომ აქ გამოგვზავნათ.

სურათი VII

(სსკა ოთხი იმავე ციხე-დარბაზში)
(შემოდან ხ ე ლ მ წ ი ფ ე და ლ ა ე რ ტ ი.)

ხელმწიფე.

ესლა ხომ უნდა გრწამდეს ჩემი უბრალოება და მიგულებდე შენს განუყრელ, ერთგულ მეგობრად, რაგი დარწმუნდი, გაიგონე შენის ყურითვე, რომ მამი-შენის მკვლელი სიკვდილს მეც მიპირობდა.

ლაერტი,

ცხადია ესლა, მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ, რად არ მიაგეთ ამ საზარელ ბოროტებისთვის სამკვიფრო დამნაშავეს? უველა გიწვევდათ რომ დაგესაფათ: როგორც სიბრძნე და ძლიერება, ისე საკუთარ თქვენის ტახტის უშიშროება.

ხელმწიფე.

ორი მიზეზი ხელს მიშლიდა. ამ მიზეზთ შერთვის იქნება კიდევ მნიშვნელობა არა ჭკონდეთ-რას, ჩემთვის კი დიდის ყურადღების ღირსნი არიან. ჯერ ეს რომ დედან უყვარს იგი სულზედ უტებესად და ჩემსა სულსა და სიცოცხლეს მეუღლე ჩემი ისეთის მკიდრო კავშირითა დაუკავშირდა, რომ ვით ვარსკვლავი ვერ იძვრის თვის სფეროს გარეშე, ისე უმისოდ სიცოცხლე მე არ შემიძლიან— არ ვიცი ეს ბედს დაჯანბლო, თუ უბედობას. კიდევ საქვეყნოდ ვერ დავსაჯე იმის მიზეზით, რომ დაბად ხალხსა უყვარს იგი გარდამეტებით; სიყვარულითა თვისით ჭფარავს ერთგულად მის ბრალს და წყაროს მსგავსად, რაც ბრწყინვალედ აჭკაებს სესა, იმის ბოროტობებს დიდების საძკაულად ჭხდის. ჩემნი ისარნი ვერ დასძლევენ ამ ქარმშალსა და მის მაგივრად, რომ მივიდენ დანიშნულ მიზანს, უკანვე ჩემდა გასავმირად მოისწრაფებენ.

ლაერტი.

მამ აგრე! უნდა დაგვარგო მე სულ-დიდი მამა, უნდა ვსედავდე განწირულსა საყვარელს დასაც; დასა, რომელსაც, თუ წარსულის ქების ნება გაჭკეს— ტოლს ვერ უპოვით ღირსებითა ამ მიწის ზურგზედ... მაგრამ მე მალე დამიდგება დღე გარდასდის!

ხელმწიფე.

ნუ შესწუხდები, ნუ გაიტყვს მავთი ძილსა; იქნება ჭფიჭობ, ვითომც ვიყოთ ჩვენ შედგენილნი ისეთის უფსო და უგრძნობელ ნოეთიერებით, რომ წვერზედ ხელი ჩვენსა მტერსა წავაკლებინოთ.

და ჩავთვალთ ეს თავსებადობა დროს-გატარებად?
სხვასაც გაიგებ მალე კადვე. მე მამა-შენი
მიუვარდა ფრთად და არა გუქმულს არც ჩვენი თავი...
მგონია, მიხვდი, რასაც ვამბობ.—

(შემოდის შიკრიკი.)

რა ამბავს იტყვი?

შიკრიკი.

ჭამლეტისაგან წერილები გასლავთ, სელმწიფე,
ერთი თქვენთანა და მეორე დიდ დელოფალოსან.

ხელმწიფე.

ჭამლეტისაგან წერილები?!... ვინ მოიტანა?

შიკრიკი.

მითხრეს, მეზღვენი არიანო, თუმც არ მინახავს.
ეგ მე გლავდიომ გადმომცა, მას გამოერთმია.

ხელმწიფე.

შენც შეგიძლიან მოისმინო.— კარგია, წადი.

(შიკრიკი გადის.)

(ჰკითხულობს.) „მალაფო და ძლიერო სელმწი-
ფეო. უნდა გაცნობოთ, რომ თქვენს სასელმწიფოში
«შიშველი გადმომსკეს. სვალ უნდა ვითხოვო ნება თქვე-
ნის დიდებულების თვალთახილვისა. მასინ მოგთხოვთ
«ჯერ მოტყუებას და მასუგან მოგასხენებთ მიზეზს ასე
«სახჭაროდ და უეცრად დაბრუნებისას.

„ჰამლეტი.“

ეს რასა ნიშნავს, მერე სხვებიც უგან დაბრუნდენ?
თუ ყველა ესე სამცდუროდ მოუგონიათ?

ლაერტი.

ხელზედ ვერ იცნობთ?

ხელმწიფე.

ეს ჭამლეტის ნაწერი არის.

დასე ამ სიტყვას და მიწერილს: «შიშველი», «მარტო.»
რას მიძრევე, რაქმნა?

ლაერტი.

მეც, ბატონო, არა მესმის-რა.

დეე, მოვიდას, ეგ მალაფოდ ეცსება ჩემს გულს,
მისუბუქდება სულის ტანჯვა, რაკი შევიძლებ
მალე ამ სიტყვათ ჰირში მისლას: „შენ მოჭკალ იგი“.

ხელმწიფე.

თუ ეს ამბავი მართალია— ვეჭვობ ვი ფრთად,—
მაგრამ არ ვიცი მამ ტყუილს ვინ მოიგონებდა?
სომ ნებას მამლევე, გიწინამდეგრო.

ლაერტი.

როგორცა გსურდეთ,
ოღონდ ჩვენ შორის მშვიდობას ვი ნუ ჩამოაგდებთ.

ხელმწიფე.

შენის სულისთვის მსურს მშვიდობა.— თუ დაბრუნდება
და უარს იტყვის სხვა ქვეყნებში კვლად წასვლისას,
მოფიქრებული მაქვს ერთი რამ სიფათი მისთვის,—
იგი ამ სიფათს უსიკვდილოდ ვერ გადურნება
და ეს სიკვდილი ეტვს და გიცხვას არ გამოიწვევს—
თვით დედა მისი დაბრუნებას მხოლოდ შემთხვევას.

ლაერტი.

მე მზა განსჯავთ მაგ საქმეში მოკვეთ, სელმწიფე,
მით უფრო დიდის სურვილითა, თუ მოახერხებთ
და მე მომანდობთ იმის მოკვლას.

ხელმწიფე.

მალაფო კარგია.—
მას აქეთ, რაც შენ მოგზაურობ უცხო ქვეყნებში,
სშირად უქიათ, ჭამლეტისა თანა-დასწრებით,
შენი სიამარჯვე ერთ საჯანში; სხვა შენს ღირსებას
ჭამლეტის გულში არ აღუძრავს ისეთი შური,
როგორც ამ ნიჭსა, ჩემის აზრით არად-ჩასაგდებს.

ლაერტი.

რა ნიჭსა ბრძანებთ, სელმწიფეო?

ხელმწიფე.

ეგ უვაილია
სხალგაზდობის ნიჭთა შორის უქმად ბრწეინვალე,
თუმცა საჭირო არის იგი: უმაწვილთა კაცთა
აყვანებული სამკაული ისე უჭეფერთ,
ვით დაბრახისულთ, სუსტთა მოხუცთ თაღხი და მძიმე.
ორის თვის წინად საფრანკეთით აქ იყო ერთი
ნორმანდიელი. უნდა ვითხრა, მე ვიცნობ ფრანკებს,
მათ წინააღმდეგე მომინა, ვიცი, მხედარნი
კარგნი არიან, მაგრამ იგი სრულად სხვა იყო.
იტყუადი, ანუ გრძნება აქვსო, ან ბავშობიდან
უნაზივრებდა აღზდილთა. იგი თავის ცხენს
ისე საკვირვლად, გულ-მიმტაცად ათამაშებდა,
თითქო ბუნება ერთი აქეთო, ერთი სისხლ-სორცია.

იმდენს სიმაღლეს, იმდენს სერსს მე ვით მოვიზრებ, რამდენსაც საქმით ასრულებდა იგი ჩვენს თვალწინ.

ლაერტი.

ნორმანდიელი გავლდათ იგი?

ხელმწიფე.

ნორმანდიელი.

ლაერტი.

უთუოდ ღამიერდ იქნებოდა.

ხელმწიფე.

ის იყო სწორედ.

ლაერტი.

ვიცნობ მე კარგად. თავის ხალხის თვალია იგი.

ხელმწიფე.

შენი ამბავიც მან გვიამბო. ფრად გაქებდა, აქებდა შენსა სელოვნებას, ხმაღში სიმაღლეს, მეტადრე უფრო აკვირებდა დაშნის ხმარებას. სთქვა: ჩინებული სანასავი იქნება მეტად, თუ ვინმე შესილებს და მას ხმაღში გაუსწორდება. ჩემს ქვეყანაში ვინც გაჭბუდავს მასთან ცილობას, თვალთ უხნელდება და ესპობა მოძრავობა. ჭამლეტს ამ ამბით შურის გესლი გულის ჩაბუდა და ღმერთსა სოსოვდა მალე შენსა დაბრუნებას, რომ შენზედ თავის ხმაღის სიმაღლეს გამოეცადა. ამას რად ვამბობ, ხომ მიმიხვდა?

ლაერტი.

გერს ბატონო.

ხელმწიფე.

ლაერტი, ეს მითხარ, მამაშენი მართლა გიყვარდა, თუ ჭკავსარ სურათს მწუხარების გამომეტყველსა, მაგრამ უგულვს?

ლაერტი.

მაგას, აბა, როგორც შეითხვით!

ხელმწიფე.

არა იმისთვის, შენს სიყვარულს ვითომ გეტკობდე, მაგრამ ეს ვიცი სიყვარული დროს ნაყოფია და მას ამტკიცებს მაგალითიც, გამოცდილებაც, რომ დრო ასუსტებს მისგან ნაკვესს ტეტსლს და ნაპერ-
ვკაღს.

თვით სიყვარულის ალში არის ჰატრუქი, ნამწვი, რაც სპობს იმის ბრწყინვალეობას, მის ძლიერებას. გერსს ვუწოდებთ გამუდმებით თანხრად კარგსა,

რადგან სიკეთეს მოსპობს ხშირად მისივე ჭარბობა. რაკი საქმეს რომელსაღე გულის განვიზრახავთ, მაშინვე უნდა შევასრულოთ, თორემ განზრახვა ანუ უქმდება, ან იმდენ გზის სახესაც ცვლილობას, რამდენს ენასაც, სელს, შემოსევეს იგი შესვდება. მაშინ სურვილი ეგანება მსარჯვე კაცთ ოსერას და უფრო მეტი ენება მოაქვს შესუბუქებით. სჯობს ახლა ისე დაეუბრუნდეთ ჩვენს სატკივანსა. ჭამლეტ აქ მოდის, აბა მითხარ რას მოაქმედებ, რით დამტკიცებ, რომ შენ მართლა არა თუ სიტყვით, საქმიანაც სწორედ მამი-შენის ღირსი შვილი ხარ?

ლაერტი.

ეკლესიაში რომ გამეჭტეს, იქაც ვი მოველავ.

ხელმწიფე.

წმიდა-წმიდათაც გერ დანევაგს მართლაც კაცის-მკვლელს და შურის-გებას ხომ სამზღვრები არ უნდა ჭჭინდეს.— ლაერტი, თუ მისი მოკვლავ გსურს შენ, ნუ ეხვევები და როცა ჭამლეტ, დაბრუნების შემდეგ, შეიტყობს შენს აქ მოსვლასაც, ჩვენ დაგიწევთ უსომო ქებას და ერთი-ორად, რაც ფრანგმა სთქვა, გავაზვიადებთ. მასუგან ერთად შეგერთო ხმაღში გამოცხადებლად და ნამდევს დაგვებთ, თუ რომელი რომელს აჯობებს. ის უშმაკობას-მოკლებული, მიმდობა არის და არ გასინჯავს კარგად დაშნებს. შენ ვი, თუ ისმარ ტოტადენს სერსს, იმისთანას დაშნას აირივე, რომელიც განკებ არ იქნება დახლუნებულად და ერთის დაგვრით გადაუხდი მამის მოკვლისთვის.

ლაერტი.

მე თანახმა ვარ და რომ უფრო ადვილად შეკვლო ამ განზრახვის შესრულებას, მოვიშველიებ ერთ-გვარ საცხებელს—ის მომედა ქუჩის ექიმმა— დანს ოდნე რომ იმ საცხებელს ამოაწებოთ და სისხლს შეესოთ მერე იმით, მის განკურნებას გერს წამალი გვდარ შესძლებს, თუნდ რომ ცის-ქვეშეთ რაც სამკურნალო ბალსია, ერთადა სცადოთ. იმით შესება და სიკვდილი ერთი იქნება. მე ჩემსა დაშნას ზედ წაუყვამ სწორედ ამ შხამს და თუ გაკაწრე, უსიკვდილოდ გერ გადაძრნება.

ხელმწიფე.

ჩვენ ესე საქმე კარგად უნდა ავწონ-დაწონოთ, მხედველობაში მივიღოთ დროც, გარემოებაც, და თუ იმედი არა გაქვს-რა, ან საიდუმლოს უსერხულობით გავამყვანებთ,—სჯობს, არ დავიწყოთ.

ზრძნობა და გონება

გრძნობა ნაზია, გონება
მის მბრძანებელი მეფეა,
გონი გმირაა, გრძნობა მის
სატრფო სსიგე-მოიფეა.

მაგრამ ვით ტრფობის ლისგან
ეუკაცს სინცხსლე ელევა,
აგრეთვე სშირად გონებას
გრძნობა მუსრავს და ერევა;

და ვინც იკეისნის, რომ გრძნობას
ერევა ჩემი ჭეუთა,
მასზედ ამბობენ, რომ ივა
ახინებულად სტყუათ!

ცახელი.

შემოდგომა.

გაუვითლდა მდელი, აღარ ბებინებს,—
სშირ-სშირად ისმის ქარას გრადი,—
მინდორში მუშა აღარ დიდინებს,
ტუეც მისწუდა, ახსად ისმის შრადი,
მზეც გადიწეურს სამსრეთისაკენ.—
აღარ მოისმის მერცხლათ ჭიკჭიკი,
სიტქებით სტომა, ფრენა, ფთხრადი,
აღარც მოისმის ცის გამარადამ
დიღ-დიღით ტოროს სმისა ზრადი...
გულსა აწვრილებს, სულსა ამფეთებს
უოკულ დღე წვიმა, ქარი, ქუსადი...
ეველს სულდგმულმა შექქნა წუსილი.
მსოფლად კი გასწვდ ევითლდა დამდნარა
მტეანი თავქვე დაჟიდებულა
და აგერ გლეხიც მის მოსაგრებად
გოდრით და დანით გამზადებულა.

ზაყელი.

მოკლე გიოგრაფიული სნოგანი

ვოლტჰარი

გუძღვნი ავაკი წეროფელს
(გაგრძელება.) *

ხანდისხან მართალი გამოდის ნათქვამი: «რაც უა-
რესია—მით უკეთესიაო». ვოლტერმა არჩია ინგლისი

*) იხილე „თეატრი“ № 36

სხვა სახელმწიფოებს თავის დასასჯელ ადგილათ.
ინგლისმა ვოლტერს ისეთი სარგებლობა მოუტანა,
რომლის ფასს საფრანგეთი ვერას-ოდეს ვერ მისცემ-
და. მთელი სამი წელიწადი იყო ვოლტერი მოშო-
რებული თავის სამშობლოს, მაგრამ ეგ დრო ახალ-
გაზდა პოეტს ტყუილად არ დაუკარგავს. ინგლისში
ვოლტერი ჭაბუკურის ალტაცებით შეუდგა სწავლა-
განვითარებას—ამ სამიწლის განმავლობაში მან შეი-
სწავლა და შეითვისა ყველაფერი, რაც კი მაშინდელ
ინგლისს შეეძლო კაცისათვის მიცემა. ვოლტერ-
მა საგნათ დიდო მაშინდელ ინგლისის ჰუმანიური
აზრების გაერცელება თავის სამშობლოში და ჩინე-
ბულადაც აასრულა ეს ძნელი საქმე. მაგრამ ვოლტერმა
ვერაფრით ვერ მოიგო თავის ერის გული. ერთის
მხრით მისი თაყვანისმცემელი და მეორეს მხრით მო-
სისხლე მტრები ყოველს წუთს უწამლაედენ და ვინ
იცის რა ნაირს ცილს არ სწამებდნენ მას. ვოლტერი
იყო ერთსა და იმავე დროს მაშინდელი საფრანგეთი-
სათვის „დიდებათ“ და „ეშმაკის თესლად“. ერთის
მხრით ამ ძაგების მიზეზი იყო ვოლტერის მკრელი, მა-
ხელი და მწარე, ენა რომელიც ბევრს უშფოთებ-
და ძილს, ბევრს უმღერედა ჭუჭყიან გრძნო-
ბებს, ბევრს გაბრაზებით აკრაჰუნებინებდა კბილებს,
მაგრამ მომეტებული მიზეზი ვოლტერის ათვალწუნები-
სა იყო მისივე უხასიათობა, მისივე რალაც გაუგება-
რი ორპირობა. ვოლტერის ნიჭი და გენიოსობა ხელს
უშლიდა მისვე ჭირვეულობას, თავ-მოყვარეობას და
პირ-იქით მისი სიხარბე, სიცრუე და ორპირობა ერ-
თად ვერ თავსდებოდა მის ნიჭთან. პირველი ნაბიჯი-
დან საზოგადო ცხოვრებაში ვოლტერმა თავი იჩინა
მეტის მეტი წვრილმანის ხასიათით, ფულის სიხარბით
და დაუდგრომლობით. აი რას ამბობს ვოლტერზედ
გერმანიელი პოეტი გეტე: «ვოლტერი თუმცა ჯერ კი-
დეც ჭაბუკი იყო და სახელს ხევედა, მაგრამ ფულის
შოვნა და გამდიდრება მისთვის სახელზედაც უფრო
სასურველი იყო» და მართლაც ვოლტერმა მალე
მიღწია თავის ჯურვილს: რამდენიმე წლის შემდეგ
კარგა ფულის სატრონი შეიქმნა, დიდი პენსია და
ჯილდოებიც დაამსახურა....

მაგრამ ეს ლტოლვა ფულისადმი და გამდიდ-
რების სურვილი კიდეც არაფერია იმასთან, რასაც
ვოლტერი შერებოდა თავის ნაწარმოების შესახებ.
შიშით და დასჯის აცდენის გამო ვოლტერს რამდენ-
ჯერ უარ-უყვია თავისი თხზულებანი—ეგ ნაკლულევა-
ნება და მშიშრობა მის ხანგრძლივს და ბრწყინვალე
სიცოცხლეს ერთ უსიამოვნო ლაქად ეცნება. აი
სხვათა შორის დიდი ფრიდრიხის სიტყვები: «რა სამ-

წუხაროა, რომ ისეთს გენიოსობასთან—ასეთი ყალბი სული იმყოფება“. —ლიან, ვოლტერში ბევრი სამარცხენო რამ მოიპოვება, რომელნიც არამც თუ ცოტათი განვითარებულს პირს, არამედ მდბიო კაცსაც არ შეშვენის და სამარცხენო უზნეობათ შერაცხება.

ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ ვოლტერი ხან პარიზში, ხან რუანში სცხოვრობდა, სადაც ჩვეულებრივის ალტაცებით შეუდგა თავის საგნის აღსრულებას—ესე იგი—ინგლისურ ჰუმანიურ შეხედულობის გავრცელებას, მაგრამ მოსვენებას და თანაგრძნობას ვერსად პოულობდა—ჯერ მისი მოუსვენარი მტრები და მერე მისივე მოუსვენარი ცხოვრება და რალაც ბავშური ჭირვეულობა ყოველს მხიარულს წუთებს უწყამლავდენ. ძვირად უჯდებოდა ვოლტერს თავისი მახვილი მწარე ენა და პირ-და-პირი თქმა. მაშინდელს საფრანგეთის საზოგადოებას საუკუნო ლაქად შერჩება ვოლტერისადმი მიყენებული შეურაცხყოფა. ვოლტერის დროს დაბეჭდება და ჯაშუშობა თითქმის მოთხოვნილებად იყო საზოგადოებაში. ყოველს მინისტრს, ყველა პოლიციის უფროსებს ჯაშუშები ათასობით ყვანდათ—და სათაკილოდაც არ მიანდათ. ვოლტერის პატიოსანმა სულმა ვერ აიტანა ეგ უზნეობა, ვერ დაემორჩილა ასეთს გარყენილს და გახრწნილს თანამედროვეთა ჩვეულებას და მისებურის მახვილის ენით, შხამიანის სატირებით მიწასთან გაასწორა ესეთი უზნეო პოლიტიკა და ისინიც, ვინც ჯაშუშობდნენ. ერთხელ ვოლტერი მინისტრთან იყო სადილათ და იქ მაშინდელი გამოჩენილი ჯაშუში ბორეგარი შეხვდა. ჩამოვარდა ლაპარაკი პოლიტიკაზე და ვოლტერმა პირდაპირ შეუკურთხა გესლიანის და გულგასაგმირავის სიტყვით ხსენებულს ჯაშუშს. ბორეგარი დაემუქრა და კიდევ მალე აუსრულა თავისი მუქარა. ერთხელ ვოლტერი ეტლით მიდიოდა და ხსენებულმა ბორეგარმა გამოიწვია ეტლიდან ვითომ საქმისათვის და იქვე შუადლისას ვოლტერს ჯოხით ცემა დაუწყაო. ვოლტერი დაბადებიდანვე სუსტი აგებულობისა იყო და ბორეგარმა, სამარცხენო ქმნილებამ, ჯაშუშმა ძალა იხმარა უძლურს და სუსტბა პატივეცემულ მუშაკზე... სახე დასივებულმა და დალურჯებულმა ვოლტერმა ჩივილი დაიწყაო, მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი? სად იყო სამართალი?—ძალა და უზნეობა: აი მაშინდელი მსაჯული!.. რალა დარჩა ვოლტერს? ისეე ის სატირა, ისეე ის მახვილი, გესლიანი ენა და, სწორედ რომ, ბევრს აწყველინა დაბადების დღე. აი ერთი მაგისტანა შემთხვევა კიდევ: ერთს არისტოკრატ მარ-

კითხან ვოლტერს რალაც ლაპარაკი მოუვიდა და ამ არისტოკრატმა კაცები დაიჭირა და ამათ აცემინა ეს მაშინდელი ერთი უპირველეს კაცთაგანი. რა ექნა ვოლტერს? მისი ძალა სატირა იყო და გმირულადაც ხმარობდა ამ ძალას. ერთის სიტყვით შინდელი საზოგადოება სწორედ ტარტაროსის მცხოვრებსა ჰგვანდა და რა გასაკვირველია, რომ ვოლტერიც—მათი შვილი—იმდენის არა საპატიებელის ნაკლულევენებით სადსე იყო. საზოგადოდ ყოველს კაცს ეტყობა თავის ოჯახის, ეროვნების და დროების გავლენა და ნიჭიერს პირებს კი ხსენებული გავლენა უფრო ნათლათ ეტყობათ.

1733 წლიდან ვოლტერის ცხოვრებამ სხვა ნაირი მიმდინარეობა მიიღო. ამ ხანებში ვოლტერმა გაიცნო ქალი მარკიზა დიუშატლე, ეს ქალი სწორედ რომ საოცარი იყო. მშვენიერი სახის პატრონი, არისტოკრატი, კეკლუცი და ამასთან ისე ნასწაველი და განვითარებული, რომ ბევრს მაშინდელს მეცნიერებს არ ჩამოურჩებოდა განვითარებაში და სამეცნიერო საგნების ცოდნაში. მაგრამ ყველა ამ საპატიო ღირსებასთან იგი უზომოთ გარყენილი იყო. თუმცა ქმარი ჯერ ისეე ცოცხალი ყვანდა, მაგრამ ყოველისფერში თავისუფლად მოქმედებდა. მიჯნურები ათასობით გარს ეხვეოდნენ. აი ეს მარკიზა დიუშატლე დაუმეგობრდა ვოლტერს, და ეს უკანასკნელი ჩვეულებრივის ალტაცებით მიეცა ახალს გრძნობას, საყვარლი საღერსებს. მათი კავშირი დიდხანს გასტანდა, რომ სიკვდილს არ დაემალა. გაცნობის მეთოთხმეტე წლის შემდეგ მარკიზა დიუშატლე გარდაიცვალა შვილის შობის დროს. საკვირველი ის არის, რომ ვოლტერი წმინდა სიყვარულით ჰყვარობდა ამ როსკიბ-დგდაკაცს, თუმცა უწყესობა და ჩვეულებრივი გარყენილობა მარკიზასი არ ეჩოთირებოდა. უნდა ვფიქროთ, რომ ვოლტერიც არ თაკილობდა თავის საყვარლის ცუდს ქცევას. ვინ იცის დიუშატლე რომ არ მომკვდარიყო. ვოლტერს უკანასკნელის სიცოცხლის წამამდე ეცხოვრნა მასთან. თოთხმეტი წელიწადი, გატარებული მარკიზასთან, ვოლტერისათვის ერთის მხრით ძალიან სასარგებლო იყო, რადგან, როგორც წინეთესთქვით, მარკიზა დიუშატლე დიდი სწავლული და მეცნიერი ქალი იყო.

ესლა ვოლტერი ორმოც-და-თხუთმეტის წლის კაცი იყო და ამასთან პირველი მწერლად ცნობილი მთელს განათლებულ ევროპაში. ხელმწიფენი გერმანიისა, შვეიცია-ნორვეგიისა, დედოფალი რუსეთისა, რომის პაპა, მეფენი, მთავარნი და პრინცები, ყვე-

ლანი გაურჩეველად პატივს სცემენ ვოლტერს.—ყველანი ცდილობდნენ მისი ყურადღების დამსახურებას, დედოფალი ეკატერინე რუსეთისა ვოლტერის უკეთესი გობართავანი იყო...

მაგრამ ყველა ამ გვირგვინოსანთ პირების მეგობრობის შორის, უფრო ღირს შესამჩნევია მეგობრობა ვოლტერისა დიდ-ფრიდრიხთან. ფრიდრიხი ჯერ ისევ ჭაბუკი და ტახტის მემკვიდრე იყო, როდესაც ვოლტერის ნაწარმოებებით აღტაცებაში მოდიოდა და მეფედ გახდა თუ არა, მაშინათვე მოიწადინა ვოლტერის უფრო ახლოდ გაცნობა. პირველი მათი შეხვედრა მოხდა 1740 წელს მოილანდის დარბაზში. გაცნობისთანავე ვოლტერმა თავისი გვირგვინოსან მეგობარს წაუყიფა თავისი ახალი ტრადედია: „მაჰმედი“. დიდი-ფრიდრიხი უსამზღვრო აღტაცებაში მოვიდა. ფრიდრიხმა დაუნიშნა ვოლტერს სადგური თავის სასახლეში: საკმელ სასმელი და თითქმის შეშა და სამთელიც მეფესაგან ეძლეოდა და 30,000 მანეთი წელიწადში, ეს ფული არამც თუ მაშინდელი დროსათვის, არამედ ეხლაც ბევრზედ ბევრია მწერლის შრომისათვის. ვოლტერსაც ეს უნდოდა. თავის უფლად დაბინავდა ახალს სადგომში და შეუდგა შრომას. მაგრამ ვოლტერის უხასიათობამ აქაც გამოიჩინა თავი. ვოლტერმა წარმოიდგინა რომ საფრანგეთს დიდს სარგებლობას მოეუტან თუ ფრიდრიხის პოლიტიკურ განზრახვებს გაეციებო და ამის გამო მიწერ-მოწერა გამართა საფრანგეთის მინისტრებთან. თუმც დიდი-ფრიდრიხმა ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა ვოლტერის «ხუმრობას» და მართალიც იყო, რადგან ფრიდრიხი ვოლტერს არას ოდეს არ ეუბნებოდა თავის პოლიტიკურს აზრებს, მით უფრო რომ ვოლტერს იგი უყურებდა როგორც პოეტს და არა დიპლომატს.

ჯერ-ჯერობით ვოლტერის და დიდი ფრიდრიხის მეგობრობა სასიამოვნოდ მიმდინარეობდა. ყოველს საღამოს ერთად იყრებოდნენ და ხან კლასიკურ ნაწარმოებს, ხან ფილოსოფიურს და მეცნიერულს წიგნებს კითხულობდნენ, მაგრამ მათს კავშირს მანც დიდ ხანს არ გაუტანებია. ერთის მხრით ამისი მიზეზი თვითონ ვოლტერი თავისი კირვეულობით და უხასიათობით იყო, მეორეს მხრით კი ვოლტერის მტრები და მეფის მხლებელნი მათი განხეთქილებას ცდილობდნენ. ყველა ამას მიემატა კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც მაშინ მთელი ევროპა ააყაყანა—ეს იყო დეა ვოლტერის და ურია გირშის შორის, სადაც ვოლტერმა არა პატიოსნურის მხრით

იჩინა თავი და სხვაგან რომ ყოფილიყო, იქნება ჩადენილი საქციელისათვის სასტიკად დაესჯათ კიდევაც. ფრიდრიხმა ეს «ხუმრობაც» აპატია გამოჩინის პოეტს, მაგრამ მეგობრებზეა ცოტ-ცოტა განხეთქილება შეუშინებლად დღე-ღღეზედ იზრდებოდა. ამას ზედ მიემატა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც პოეტი და მეფე სრულებით დააშორა ერთი-მეორეს. ფრიდრიხი სულით პოეტი იყო და ხშირად სწერდა ლექსებს, რომელსაც ვოლტერს უკითხავდა ხოლმე. ერთხელ მეფეს უთხრეს: «ვოლტერმა თქვენ ლექსებზედ ასე სთქვა: «ნეტა როდის მოვრჩები ამ ჭკუის ლაყობის კითხვასაო!...» იქნება ეს სიტყვები მართლაც ეთქვა ვოლტერს, მაგრამ კაცმა სიმართლე უნდა სთქვას, რომ მისი დაუძინარი მტრები უფრო მეტს იგონებდნენ და ერთი უძლიერესი ვოლტერის მტერთავანი იყო კარის-კაცი მოპერტიუი. ესეაჟ-ბატონი არა ვითარის საშუალებას არ ჰყოფავდა ვოლტერის დასამკირებლად. ვოლტერი კი ჩვეულებრივის მანვილის ენით გულს უშხამავდა თავის ხარისხოვანს მეტოქეს და ერთის სატირით იქამდინ მიიყვანა, რომ მოპერტიუი ბრახვისაგან ავად შეიქმნა. მეფე დაესარჩლა თავის მხლებელს, მაგრამ ვოლტერი ისეთი კაცი როდი იყო, რომ თავი შეემარებინა და მეფესაც კარგად მოსცხო. შხამიანის სატირით. მაშინ ფრიდრიხმაც დასწერა ვოლტერზედ სატირა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ უფრო მეტად წააქეზა პოეტი და ვოლტერმა სატირაზედ ახალი სატირა დასწერა სახელად «*Du Docteur Akakia*» აკაკია ექიმბაში». ეს სატირა ერთი უკეთეს ვოლტერის ლექსთავანია, ასეთი სიმახვილე, დაცინვა, სიღრმე და გესლიანი სატირა იქამდინ ევროპას არ ენახა. მეფემ წაიკითხა თუ არა ეს სატირა, შეუთვალა პოეტს: ან დასწვი ან დახიეო. ვოლტერი უარზედ იდგა. მაშინ გაანჩნლებული მეფე ბარათსა სწერს და აი სხვათა შორის ერთი ადგილი: «თქვენ უსინდისობა მეტად მაკვირვებს! იმის შემდეგ რაც თქვენ ჩაიღინეთ,—თქვენ ჩემწინ ბოდიშის მოხდის მაგიერ,—კიდევ ჰბედავთ თავის გამართლებას და უარ-ყოფთ ჩემ თხოვნას; მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ასე ადვილად მომიჩიეთ... მე საქვეყნოდ გამოავაჟკარებ თქვენს უმსგავს საქციელს და მაშინ თქვენც და მთელი ქვეყანაც აშკარად დაწმუნდება, რომ თქვენ პატივისსაცემი კი არა, ბორკილების ღირსი ხართ!...».—ამ წერილის შემდეგ ვოლტერი მალე დეთანხმა დიდი ფრიდრიხის თხოვნას და 1752 წელს გამოჩინილმა ვოლტერმა მეფეს მისცა ხელ-წერილი, რომლის ძალით ვოლტერს არ შეძლო სატირის დაწერა როგორც მეფეზე, აგრეთვე სხვა ვინმე პირზედ.

რა თქმე უნდა, ჩვენ ასეთის პირობით გავკვირდებით და განა გასაოცარი არ არის ამ გვარად თავის პიროვნულის ღირსების უარ ყოფა? პოეტი-მწერალი ხელ-წერილს იძლევა, ამიერიდამ არვის შეეცნებო! მართლა რომ საკვირველია, მაგრამ უფრო საკვირველი და გასაოცარი ის არის, რომ ეოლტერმა თავისი სატირამანიც დაბეჭდინა ჰოლანდიაში და რამდენიმე დღის შემდეგ ექიმბაში აკაკიმ მთელი განათლებული ევროპა მოჰფინა!... დიხაც, რომ საკვირველია—ჯერ ეოლტერის ხელ-წერილი და პირობა და მერე მისგანვე ასე ადვილად სიტყვის და პირობის დარღვევა. მაგრამ მაშინ ასეთი საქციელი თითქმის ღირსებას უმატებდა ადამიანს. სადაც მეფობს ძალა და ბრძანებლობა, იქ გაძევრობა აუცილებელი და ჩვეულებრივი მოვლენაა!

(გაგრძელდება.)

გალიკო—ია.

არაბების თეატრი

თუ მხედველობაში არ მივიღებთ განვითარებას, დრამატიული ხელოვნება ყოველს ხალხს აქვს. აი არაბების წარმოდგენის მაგილითი ქაირში ერთის გერმანიელის ჟურნალისტის სიტყვით:

„კარებზე მიკრული იყო დიდი ვარდის ფერი აფიშები, რომლებიც აცხადებდნენ არაბულის ერთ, რომ დამასკოს აბუ—შალილის—ელ—კაბანის დასი თავის საქებრად და დიდის ხალხის თანა-დასწრებით, წარმოადგენს სამიჯნურო ტრაგედიას, ემირო მაჰმულს“.

„შევედით. ზალი საესეა. ერთად ერთი გაღერეია დაბალის ხალხის თეთრის ჩაღმებით და ცის ფერის პერანგებით აჭრელებულია; პარტერში შუათანა საზოგადოებაა; აქ უმეტეს ნაწილს ფესი ახურავს და შავი აბრეშუმის ხალათები აცეიათ; ლოყები ქაირის საუკეთესო, ევროპიულად ჩაცმულს ახალ-გაზღობას უქირავს.“

„ქალის ჭკანება არსად არის, ორის ინგლისელების ქალის გარდა, რომლებიც ქაირში მყოფის ჯარის ოფიცრების ნათესავეები არიან.“

„მთელი ეს ხალხი ლაპარაკობს და ლიყლიყებს; ხალხი განუწყვეტლად შემოდის და თავ-თავის ალაგს იჭერს; თამბაქოს ბოლი ისეც სუსტს სინათლეს უფრო ასუსტებს.“

„პატარა სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ფარდა აიხდა-სცენა პატარა და უბრალოდ და ღარიბად არის მოწყობილი. ბედუნათ ჩაცმული აქტორები, ჩაღმე-

ბით, აქლემის მატყლის სარტყლებით, მოძრაობენ, ხელებს იქნევენ ისე, რომ იმათი ნალაპარაკეი კაცს არ ესმის.“

„აბუ-შალილი პირველს როლებს თამაშობს და პიესებსაც სთხზავს, აქტორი-ქალების მაგიერად, როგორც საზოგადოთ აღმოსავლათში, პატარა ყმაწვილები თამაშობენ. და გასაოცარი ის უფრო არის, რომ არაბებს უბალეტოთ პიესა არა აქეთ, ძირეღ უყვართ ბალეტი, ბალეტსაც პატარა ვაჟ-ყმაწვილები ასრულებენ და ამითი იტყუებენ თავს.“

„ხმაურობა დამშვიდდა, თუმცა ალაგ-ალაგ ჩურჩულობდნენ კიდევ. დაწყლის ვაჟარი თავის სავაქროს სთარჯავედა მაყურებლებს. თამაში დაიწყო.“

„დრამატიულის ალაგებს ალტაცებით ეგებებიან, მაგრამ ევროპიულათ-კი არა ე. ი. ტაშის კვრით, არამედ ფენების იატაკზე სმით და ჯოხების რახუნით.“

„აქტორების დიკლამაციონი ერთ გვარი და ძილის-მომგერელია; სერიოზს, ალერსიანს, მრისხანე ალაგებს სულ ერთი გვარის ტირილის ხმით ამბობენ და იმას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რითმის გათაეზბას ტყობულობენ მსმენელები და საზოგადოთ ისე აუჩქარებლად ლაპარაკობენ, რომ გაკვეთილის მოლაპარაკე ყმაწვილს გვანან.“

„სიმღერა! წარმოიდგინეთ ხრინწიანი, სურდონიანი კაცი, რომელიც წარმოუდგენელს მალალს ხმებს ასწევს, ერთის ხმითგან მეორეზე აუჩქარებლათ გადადის, მას გარდა, რომ ამისთანა სიმღერა ძალა-უნებურს ძილს გგვრით და თავს გაწყენთ, შიშით გკლამთ რომ გამბედავს მომღერალს ხმის ძარღვი არ გაუწყდეს, ისეთს ძალას ატანს თავის თავს“.

3. ყიფიანი.

«თმატრის» ფოსტა.

ბ-ნს ბასკელს. თქვენი წერილები მივიღეთ. დიდათ გმადლობთ, ნოლო ,,კითხვა და პასუხები“ ეს ვერ დაიბეჭდედა.

ბ-ნს უთურგაურს. თქვენი წერილი მივიღეთ. დიდათ დავგვაბულებთ თუ შეგატუბობინებთ კვიტანციის ნომერს და რომემელ თვიდან გამოიწერეთ გაზეთი?

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.